საიდ. N81527/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №44-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, მ. ჭიჭინაძე, გ. ფანცულაიას მდივნობით, განიხილა კომპანიის „ავენტის ინკ.“ (AVENTIS INC.) N44-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 დეკემბრის N2218/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „Alleva Аллева“ (საიდ. N81527/03) რეგისტრაციის თაობაზე კომპანიის „როტაფარმ ილაჩლარი ლიმიტედ შირკეტი“ (ROTAPHARM İLAÇLARI LİMİTED ŞİRKETİ) სახელზე მე-5 კლასის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აპელანტი კომპანია „ავენტის ინკ.“ (AVENTIS INC.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის აზრით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „Alleva Аллева“ (საიდ. N81527/03) არ ექვემდებარება რეგისტრაციას საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის, ვინაიდან იგი მსგავსია საქართველოში უფრო ადრინდელი პრიორიტეტით (20.08.1998) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „ALLEGRA“ (რეგ. N10400), რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. სადავო სასაქონლო ნიშანი „Alleva Аллева“ (საიდ. N81527/03) ჟღერადობით მსგავსია სასაქონლო ნიშნისა „ALLEGRA“. აღნიშნული მსგავსება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული საქონლის მწარმოებელის/შემთავაზებლის ერთმანეთში აღრევა. მსგავსია, ასევე, საქონლის ჩამონათვალიც. აპელანტი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული სასაქონლო ნიშანი მოიცავს მე-5 კლასის საქონლის შემდეგ ჩამონათვალს: „მედიკამენტები ადამიანებისათვის, მედიკამენტები ვეტერინარული მიზნებისათვის, ქიმიური პრეპარატები სამედიცინო მიზნებისათვის, დიეტური ნივთიერებები სამედიცინო მიზნებისათვის; დიეტური საკვები პროდუქტი სამედიცინო მიზნებისათვის, ამინომჟავები სამედიცინო მიზნებისათვის, საკვები დანამატები, ყვავილის მტვერის საკვები დანამატები, მინერალური საკვები დანამატები, პროტეინის საკვები დანამატები, სამკურნალო ბალახები, სამკურნალო მცენარეული სასმელები სამედიცინო მიზნებისათვის; მედიკამენტები სტომატოლოგიური მიზნებისათვის, სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური

პროდუქტები, მათ შორის, ჰიგიენური საფენები, ბამბა სამედიცინო მიზნებისათვის, სალბუნები სამედიცინო მიზნებისათვის, სახვევი მასალა სამედიცინო მიზნებისათვის, მავნე მცენარეების გასანადგურებელი პრეპარატები, მავნე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები, ფუნგიციდები, დეზოდორანტები (ადამიანისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებულის გარდა), სადეზინფექციო საშუალებები ჰიგიენური მიზნებისათვის, ანტისეპტიკური საშუალებები, სარეცხი საშუალებები სამედიცინო მიზნებისათვის“. აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „ALLEGRA“ რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალისათვის: „ჰიპერემიის (გარდა ჰიპერემიისა, რომელიც გამოწვეულია თვალის დაავადებით) დასაწევი ანტიჰისტამინური ფარმაცევტული პრეპარატები“. მიუხედავად იმისა, რომ აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი უფრო ვიწროა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის ფართო ჩამონათვალი - „მედიკამენტები ადამიანებისათვის“ მოიცავს ამ საქონელსაც, ხოლო სხვა საქონელი ერთგვაროვანია. ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად. აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ა-ლე-გრა“, ხოლო სადავო ნიშანი, როგორც „ა-ლე-ვა“. ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნებში საწყისი 3 ასო-ბგერა და ბოლო ასო იდენტურია, ასევე იდენტურია ასოთა თანმიმდევრობა და განლაგება სიტყვებში. იდენტურია მარცვალთა რაოდენობა და ამ მარცვლებში თანხმოვნებისა და ხმოვნების მდებარეობა. სიტყვებში განსხვავებულია მხოლოდ ასოები „გრ“ და „ვ“. მსგავსების შეფასებისას ძირითადი აქცენტი კეთდება სიტყვის საწყის ნაწილებზე „ა-ლე“ (Alle-ALLE), რომელიც იდენტურია ორივე ნიშანში, იგი მკაფიოდ გამოითქმის და სწორედ ამიტომ მასზე მოდის ძირითადი განმასხვავებლობა. აპელანტის მტკიცებით, სიტყვიერი სასაქონლო ნიშნების პირველი მარცვლებისა და ბოლო ასოს იდენტურობა გამოიწვევს ნიშნების აღრევასა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მწარმოებლის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 დეკემბრის N2218/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „Alleva Аллева“ (საიდ. N81527/03) რეგისტრაციის თაობაზე კომპანიის „როტაფარმ ილაჩლარი ლიმიტედ შირკეტი“ (ROTAPHARM İLAÇLARI LİMİTED ŞİRKETİ) სახელზე, მე-5 კლასის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელის პოზიცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „Alleva Аллева“ (საიდ. N81527/03) და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ALLEGRA“ (რეგ. N10400) არ წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები განსხვავებულია, როგორც ვიზუალური, ისე ფონტეკური თვალსაზრისით.

სადავო სასაქონლო ნიშანი „Alleva Аллева“ (საიდ. N81527/03) შედგება ორი სიტყვიერი ელემენტისაგან. პირველი სიტყვიერი ელემენტი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ანბანით, ხოლო მეორე სიტყვიერი ელემენტი კირილიზაცაზე. გამომდინარე იქიდან, რომ კირილიცაზე შესრულებული მეორე

ელემენტი წარმოადგენს ტრანსლიტერაციას, იგი ვერ სძენს ნიშანს დამატებით განმასხვავებლობას. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ALLEGRA“ (რეგ. N10400) შესრულებულია სტანდარტული ლათინური ანბანით, ასომთავრულად. სადავო სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული ელემენტი შედგება ექვსი ასო-საგან, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შედგება შვიდი ასოსაგან. მართალია მსგავსია, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის პირველი ოთხი ასო - „ALLE-Alle“ და ბოლო ასო - „A-a“, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ნიშნები საშუალო სიგრძისაა, ორივე ნიშანი შედგება სამი მარცვლისაგან, ნიშნებს შორის არსებული განსხვავება, კერძოდ, სადავო სასაქონლო ნიშნის მე-5 ასო - „v“ და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მე-5 და მე-6 ასო - „GR“, ანიჭებს მათ საკმარის განმასხვავებლობას.

სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი განსხვავებულია, ასევე, ფონეტიკურად, ვინაიდან სადავო სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ალევა“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ალეგრა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „Alleva Аллева“ (საიდ. N81527/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ავენტის ინკ.“ (AVENTIS INC.) N44-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 16 დეკემბრის N2218/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ს. მუჯირი
წევრები:	ს. დუმბაძე
	მ. ჭიჭინაძე